№1075 2015 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სოციალური მომსახურების სააგენტომ, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, „დიაბეტის მართვის“ (პროგრამული კოდი - 35 03 03 02) ასიგნებათა ფარგლებში, უზრუნველყოს სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების: ხანმოკლე მოქმედების ინსულინის ანალოგის - ნოვორაპიდი პენფილი (100 ს.ე. 3 მლ. არა უმეტეს 6 750 კარტრიჯი); ხანგრძლივი მოქმედების ინსულინის ანალოგის - ლევემირი პენფილი (100 ს.ე. 3 მლ. არა უმეტეს 2500 კარტრიჯი); საინექციო შპრიც-კალმისტრის ნემსი ნოვოფაინი 30G 0.3X8მმ (N100 – არა უმეტეს 200 კოლოფი); საინექციო შპრიც-კალმისტრის ნემსი

ნოვოფაინი 31G 0.25X6მმ (N100 - არა უმეტეს 800 კოლოფი) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**